

შპს კადე ოილი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს კადე ოილი

შინაარსი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა.....	13
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	20
4. ძირითადი საშუალებები	21
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	23
7. ამონაგები.....	23
8. გაცემული სესხები	23
9. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.....	24
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	24
11. საპროცენტო შემოსავლები.....	25
12. პირობითი ვალდებულებები	25
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კადე ოილი მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს კადე ოილი (შემდგომში - „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსა და ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ

გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა

კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწაბო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

კანონის შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს დაკვირვებას, გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებების შესაბამისი ნაწილები (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის

ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.

- კომპანიის მმართველობის ანგარიშგების შესაბამის ნაწილში (საქმიანობის მიმოხილვა) ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, თანხვედნილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ღვინიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-301483

შპს ჯითიეი ჯგუფი (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-823128)

30.09.2024 წელი

ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.

- კომპანიის მმართველობის ანგარიშგების შესაბამის ნაწილში (საქმიანობის მიმოხილვა) ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, თანხდენილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტრულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარბების პარტნიორი:

ივანე ღვინიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-301483

შპს ჯითიეი ჯგუფი (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-823128)

30.09.2024 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

აქტივი	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ფული და ფულის ექვივალენტები	9	7756323	6283439	2074293
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	2335164	2297668	2873582
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		274052	72762	-
მისაღები პროცენტები	11	127079	123817	117550
სხვა მოკლევადიანი აქტივები		160	127	193
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>10492778</u>	<u>8777813</u>	<u>5065618</u>
ოფისის აღჭურვილობა	5	4954	3643	724
სატრანსპორტო საშუალებები	5	186041	-	33605
გაცემული სესხები	11	985724	340008	180483
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>1176719</u>	<u>343651</u>	<u>214812</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>11669497</u>	<u>9121464</u>	<u>5280430</u>
მოწოდებიდან და მომსახურებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		561311	115295	93298
მიღებული ავანსები		4327	5775	4549
საგადასახადო ვალდებულება		86803	342353	226480
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		27710	17917	11558
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>680151</u>	<u>481340</u>	<u>335885</u>
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		343234	448327	994512
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>343234</u>	<u>448327</u>	<u>994512</u>
<u>სულ ვალდებულებები</u>		<u>1023385</u>	<u>929668</u>	<u>1330397</u>
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		186393	167618	425995
გაუნაწილებელი მოგება		10459719	8024177	3524038
<u>სულ კაპიტალი</u>		<u>10646112</u>	<u>8191795</u>	<u>3950033</u>
<u>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</u>		<u>11669497</u>	<u>9121463</u>	<u>5280430</u>

დავით კოკაია
დირექტორი

ნათია კახიძე
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

აქტივი	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ფული და ფულის ექვივალენტები	9	7756323	6283439	2074293
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	2335164	2297668	2873582
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		274052	72762	-
მისაღები პროცენტები	11	127079	123817	117550
სხვა მოკლევადიანი აქტივები		160	127	193
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>10492778</u>	<u>8777813</u>	<u>5065618</u>
ოფისის აღჭურვილობა	5	4954	3643	724
სატრანსპორტო საშუალებები	5	186041	-	33605
გაცემული სესხები	11	985724	340008	180483
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>1176719</u>	<u>343651</u>	<u>214812</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>11669497</u>	<u>9121464</u>	<u>5280430</u>
მოწოდებიდან და მომსახურებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		561311	115295	93298
მიღებული ავანსები		4327	5775	4549
საგადასახადო ვალდებულება		86803	342353	226480
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		27710	17917	11558
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>680151</u>	<u>481340</u>	<u>335885</u>
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		343234	448327	994512
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>343234</u>	<u>448327</u>	<u>994512</u>
<u>სულ ვალდებულებები</u>		<u>1023385</u>	<u>929668</u>	<u>1330397</u>
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		186393	167618	425995
გაუნაწილებელი მოგება		10459719	8024177	3524038
<u>სულ კაპიტალი</u>		<u>10646112</u>	<u>8191795</u>	<u>3950033</u>
<u>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</u>		<u>11669497</u>	<u>9121463</u>	<u>5280430</u>


დავით კოკია
დირექტორი


ნათია კახიძე
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

დასახელება	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი	10	30097830	66413736
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	-26474399	-59403741
<u>საერთო მოგება</u>		<u>3623431</u>	<u>7009995</u>
პერსონალის ხარჯი		-249731	-159732
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		-17161	-22881
იჯარის ხარჯი		0	-3750
ტრანსპორტირებისა და ტერმინალის ხარჯი		-675140	-1272851
ცვეთა და ამორტიზაცია	5	-5448	-5290
მივლინების ხარჯი		-1098	0
სხვა საოპერაციო ხარჯი	13	-77312	-450750
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>2597541</u>	<u>5094741</u>
არასაოპერაციო შემოსავალი	7	7	5
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან		79593	157203
საპროცენტო შემოსავალი		593138	56153
პროცენტის ხარჯი		-18988	-41471
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		-132023	-284908
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		0	-11702
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	8	-463525	-209787
უიმედო დებიტორული დავალიანება		-160758	0
მოგება დაბეგვრამდე		<u>2494985</u>	<u>4760234</u>
მოგების გადასახადი		-8917	-39014
<u>მთლიანი სრული შემოსავალი</u>		<u>2486068</u>	<u>4721220</u>
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		8024178	3524038
დივიდენდი		-50526	-221079
<u>გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს</u>		<u>10459720</u>	<u>8024179</u>

დავით კოკაია
დირექტორი

ნათია კახიძე
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

დასახელება	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი	10	30097830	66413736
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	12	-26474399	-59403741
<u>საერთო მოგება</u>		<u>3623431</u>	<u>7009995</u>
პერსონალის ხარჯი		-249731	-159732
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების			
ხარჯი		-17161	-22881
იჯარის ხარჯი		0	-3750
ტრანსპორტირებისა და ტერმინალის ხარჯი		-675140	-1272851
ცვეთა და ამორტიზაცია	5	-5448	-5290
მივლინების ხარჯი		-1098	0
სხვა საოპერაციო ხარჯი	13	-77312	-450750
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>2597541</u>	<u>5094741</u>
არასაოპერაციო შემოსავალი		7	5
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან		79593	157203
საპროცენტო შემოსავალი		593138	56153
პროცენტის ხარჯი		-18988	-41471
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		-132023	-284908
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		0	-11702
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული			
ხარჯები	8	-463525	-209787
უიმედო დებიტორული დავალიანება		-160758	0
მოგება დაბეგვრამდე		<u>2494985</u>	<u>4760234</u>
მოგების გადასახადი		-8917	-39014
<u>მთლიანი სრული შემოსავალი</u>		<u>2486068</u>	<u>4721220</u>
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		8024178	3524038
დივიდენდი		-50526	-221079
<u>გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს</u>		<u>10459720</u>	<u>8024179</u>


დავით კოკია
დირექტორი


ნათია კახიძე
მთავარი ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

დასახელება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2021</u>	<u>425995</u>	<u>3524038</u>	<u>3950033</u>
მოგება / (ზარალი)		4760233	4760233
კაპიტალის ცვლილება	-258377		-258377
დივიდენდის გამოცხადება		-260093	-260093
სხვა			0
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2022</u>	<u>167618</u>	<u>8024178</u>	<u>8191796</u>
მოგება / (ზარალი)		2494984	2494984
კაპიტალის ცვლილება	18775		18775
დივიდენდის გამოცხადება		-59443	-59443
სხვა			0
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2023</u>	<u>186393</u>	<u>10459719</u>	<u>10646112</u>

დავით კოკაია
დირექტორი

ნათია კახიძე
მთავარი ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

დასახელება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2021</u>	<u>425995</u>	<u>3524038</u>	<u>3950033</u>
მოგება / (ზარალი)		4760233	4760233
კაპიტალის ცვლილება	-258377		-258377
დივიდენდის გამოცხადება		-260093	-260093
სხვა			0
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2022</u>	<u>167618</u>	<u>8024178</u>	<u>8191796</u>
მოგება / (ზარალი)		2494984	2494984
კაპიტალის ცვლილება	18775		18775
დივიდენდის გამოცხადება		-59443	-59443
სხვა			0
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2023</u>	<u>186393</u>	<u>10459719</u>	<u>10646112</u>


დავით კოკია
დირექტორი


ნათიკ კახიძე
მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

<u>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	2023 წელი	2022 წელი
კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრები	34971460	78611365
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-27346616	-62798222
ხელფასები	-273925	-125253
გადასახადები	-5355468	-10061194
მოგების გადასახადი	-8917	-39014
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	1986534	5587681
<u>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>		
გაცემული სესხები	-700000	-303662
ძირითადი საშუალებების შეძენა	-190530	-
პროცენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	588714	43585
<u>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	-301816	-260077
<u>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>		
სესხის ძირის დაფარვა	-112425	-415350
საწესდებო კაპიტალის გაზრდა(+) / შემცირება (-)	18775	-258377
სესხის პროცენტზე გადახდილი ფულადი სახსრები	-18988	-41471
დივიდენდი	-48000	-210025
<u>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</u>	-160638	-925223
<u>საკურსო სხვაობა</u>	-51195	-193235
<u>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</u>	1472884	4209146
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის</u>	6283439	2074293
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის</u>	7756323	6283439

დავით კოკაია
დირექტორი

ნათია კახიძე
მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

<u>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	2023 წელი	2022 წელი
კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრები	34971460	78611365
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-27346616	-62798222
ხელფასები	-273925	-125253
გადასახადები	-5355468	-10061194
მოგების გადასახადი	-8917	-39014
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>1986534</u>	<u>5587681</u>
<u>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>		
გაცემული სესხები	-700000	-303662
ძირითადი საშუალებების შეძენა	-190530	-
პროცენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	588714	43585
<u>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	<u>-301816</u>	<u>-260077</u>
<u>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>		
სესხის ძირის დაფარვა	-112425	-415350
საწესდებო კაპიტალის გაზრდა(+) / შემცირება (-)	18775	-258377
სესხის პროცენტზე გადახდილი ფულადი სახსრები	-18988	-41471
დივიდენდი	-48000	-210025
<u>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</u>	<u>-160638</u>	<u>-925223</u>
<u>საკუროსო სხვაობა</u>	<u>-51195</u>	<u>-193235</u>
<u>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</u>	<u>1472884</u>	<u>4209146</u>
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის</u>	<u>6283439</u>	<u>2074293</u>
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის</u>	<u>7756323</u>	<u>6283439</u>


დავით კოჯანია
დირექტორი


ნათია კახიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს კადე ოილი ს/კ 404515217

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

1. კომპანიის აღწერა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კადე ოილი“ (შემდგომში „საზოგადოება“) რეგისტრირებულია 2016 წლის 13 ივნისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 404515217. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ჩუღურეთის რაიონი, რომის ქუჩა №12. კომპანიის 100%-ინი დამფუძნებელი და დირექტორი არის საქართველოს მოქალაქე დავით კოკია (პ/ნ 60001033943).

შპს „კადე ოილი“ არის ქართული კომპანია. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, საბითუმო ვაჭრობა დიზელის სათბობით, ნავთობპროდუქტების წარმოება საბითუმო ვაჭრობის გზით. კომპანია ასევე ახორციელებს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2021	3.0976	3.5040
31-დეკ-2022	2.7020	2.8844
31-დეკ-2023	2.6894	2.9753

2. საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხები:

2.1. კომპანიის პროდუქცია იყიდება საქართველოს მთელ მასშტაბზე. ჩვენი საქმიანობის სფეროში ბაზარზე დიდი კონკურენციაა, თუმცა, პროდუქციის მაღალი ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე დღესაც ლიდერის პოზიციას ვინარჩუნებთ.

2.2. კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ახორციელებს ორგანიზაციულ, ტექნიკურ და მარკეტინგულ ღონისძიებებს, შედეგად პროდუქციის/მომსახურეობის რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა. 2022 წელს მიაღწია მაქსიმ ნიშნულს ხოლო 2023 წელს შემოსავალი 55%-ით შემცირდა.

დასახელება	2023 წელი	2022 წელი
რეალიზაცია	30 097 830	66 413 736
	<u>30 097 830</u>	<u>66 413 736</u>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2023 წელს შემოსავალი 2022 წელთან შედარებით 55% -იან შემცირებას არ გამოუწვევია პროპორციულად მოგების შემცირება.

დასახელება	სულ საკუთარი კაპიტალი
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2021</u>	3950033
მოგება / (ზარალი)	4760233
კაპიტალის ცვლილება	-258377
დივიდენდის გამოცხადება	-260093
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2022</u>	8191796
მოგება / (ზარალი)	2494984
კაპიტალის ცვლილება	18775
დივიდენდის გამოცხადება	-59443
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2023</u>	10646112

2022 წელს მოგება შეადგენდა 4760233 ლარს ხოლო 2023 წელს მოგება კი განისაზღვრა 2494984 ლარით. შესაბამისად შემცირდა 47,6 %. მიუხედავად ამისა კომპანიას გააჩნია რესურსები რომ მომავალში აქტიურად გააგრძელოს საქმიანობა.

მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება და საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება.

კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, საწარმო ფინანსურად სტაბილურია და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება - პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, სრულ შემოსავალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა

სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს სრულ შემოსავალში.

სავაჭრო ვალდებულებები - სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები - მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები - ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირად გამოიყურება:

წლიური ამორტიზაციის ნორმა

ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავტო და ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია

ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

მარაგები - მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ ცენტრალური გათბობისა და წყალგაყვანილობისთვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება - ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება - კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

შემოსავლის ძირითადი წყარო - კომპანია შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს ნავთობპრუდუქტების, კერძოდ ბიტუმის რეალიზაციიდან, ასევე, დამატებითი შემოსავლები გააჩნია ტექნიკური მარილის და პოლიეთილენის რეალიზაციიდან.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი - საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება - ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები - საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა - კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება

„მიწოდების ხარჯებში“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები - ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც

მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კლიენტი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინტიტუტებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა რეალიზაციის ვადების მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამის განცდილ საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

5. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
12/31/2021	59,428	873	60,301
შეძენა	-	3,305	3,305
გასვლა	(59,428)	-	(59,428)
12/31/2022	-	4,178	4,178
შეძენა	190,530	2,270	192,800
გასვლა	-	-	-
12/31/2023	190,530	6,448	196,978
დაგროვილი ცვეთა 31/12/20	19,880	-	19,880
ცვეთის ხარჯის წლის განმავლობაში	5,943	149	6,092
გაყიდული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31/12/2021	25,823	149	25,972
ცვეთის ხარჯის წლის განმავლობაში	4,903	386	5,289
გაყიდული ძირითადი საშუალების ცვეთა	(30,726)	-	(30,726)
დაგროვილი ცვეთა 31/12/22	-	535	535
ცვეთის ხარჯის წლის განმავლობაში	4,489	959	5,448
გაყიდული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31/12/23	4,489	1,494	5,983
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/21	33,605	724	34,329
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/22	-	3,643	3,643
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/23	186,041	4,954	190,995

კომპანიის არცერთი ძირითადი საშუალება არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს.

ცვეთის ხარჯი აღიარებულია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

6. არამატერიალური აქტივები:

კომპანის არამატერიალური აქტივები არ უფიქსირდება აუდირებად პერიოდში

7. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში:

კომპანიას ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში არ უფიქსირდება აუდირებად პერიოდში

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება:

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3593449	3092429	3458554
საექვო მოთხოვნების რეზერვი	-1258285	-794760	-584973

სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	0	0
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2335165	2297669	2873581

მოთხოვნების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით:

2021 წელი	-
დარიცხვა	584973
აღდგენა	0
12/31/2021	584973
დარიცხვა	209787
აღდგენა	0
12/31/2022	794760
დარიცხვა	463525
აღდგენა	0
12/31/2023	1258285

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შეადგენს:

	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	21	0
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2 062 025	6 269 133	7 749 716
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12 268	14 285	6 607
სულ	2 074 293	6 283 439	7 756 323

10. ამონაგები

კომპანიის ამონაგები შეადგენს:

	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი რეალიზიციიდან	1,378,077	6,948,324
შემოსავალი ბიტუმის რეალიზიციიდან	28,719,753	55,765,438
შემოსავალი დიზელის რეალიზაციიდან	-	1,054,613
შემოსავალი ბენზინის რეალიზაციიდან	-	2,645,361
სულ	30,097,830	66,413,736

11. გაცემული სესხები

მოკლევადიანი გაცემული სესხები

	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
--	-----------	-----------	-----------

სესხის ძირი	985,724	340,008	180,483
სესხის პროცენტი	127,079	123,817	117,550
სულ სასესხო მოთხოვნა	1,112,804	463,825	298,033

გაცემული სესხები დომინირებული ქართულ ლარში და აშშ დოლარში. ქართულ ლარში არსებული სესხების საპროცენტო განაკვეთია 11%, ხოლო დოლარის სესხის - 5%.

12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის გაყიდული და ჩამოწერილი პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს:

<i>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</i>			
	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
გაყიდული შეძენილი საქონელი	26,474,399	59,403,741	33,277,180
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	675,140	1,272,851	134,246
სულ	27,149,539	60,676,592	33,411,426

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

კომპანიის საოპერაციო ხარჯები დეტალურადაა აღწერილი მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სხვა საოპერაციო ხარჯები შეადგენს:

	2023 წელი	2022 წელი
სხვა ხარჯები	-5875	-11766
საოფისე ხარჯი	-75	-85
ბანკის საკომისო	-8686	-19921
შემოსავლების სამსახურისა და საჯარო რეესტრის მომსახურება	-46961	-46350
ავტომობილის ხარჯი	-4013	-4068
ლაბორატორიის ხარჯი	-10608	-7058
სანოტარო მომსახურება	-	-70
აქციზის ხარჯი	-	-361432
სახიფათო ტვირთის შენახვა	-1096	-
სულ	-77314	-450750

14. გადასახდელი ხელფასი

საწარმო, მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით აღრიცხავს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს. მოცემული სტანდარტის გათვალისწინებით, საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის გადასახდელი ხელფასი არ უფიქსირდება. აუდირებად პერიოდში მენეჯმენტზე გაცემულია

- 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდზე 71220 ლარის სახელფასო ანაზრაურება, რაც მთლიანი სახელფასო ფონდის 45,5%-ს შეადგენს
- 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდზე 127 105 ლარის სახელფასო ანაზრაურება, რაც მთლიანი სახელფასო ფონდის 48,09%-ს შეადგენს

15. გადახდილი დივიდენდი

საანგარიშგებო პერიოდში გაცემული დივიდენდის მოცულობა შეადგენს:

- 2022 წელს 221079 ლარი
- 2023 წელს 50526 ლარი

16. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მის წინააღმდეგ სასამართლო დავები და არც ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არსებობს ასეთი. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები. დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

18. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

- 2023 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ 18775 ლარით გაიზარდა საწესდებო კაპიტალი, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის – 186393 ლარს შეადგენდა.
- საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ - **2 486 067 ლარი** შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე.
- პარტნიორთა გადაწყვეტილებით გაუნაწილებელი მოგებიდან - **50 526 ლარის** დივიდენდი გაიცა.
- კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განისაზღვრა **10 646 112 ლარით**.

19. დასკვნითი ნაწილი

- საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ, ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2023 წლის 25 სექტემბერს.

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები არ მომხდარა.

დავით კოკია
დირექტორი

ნათია კახიძე
მთავარი ბუღალტერი

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები. დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

18. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

- 2023 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ 18775 ლარით გაიზარდა საწესდებო კაპიტალი, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის – 186393 ლარს შეადგენდა.
- საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ - **2 486 067 ლარი** შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე.
- პარტნიორთა გადაწყვეტილებით გაუნაწილებელი მოგებიდან - **50 526 ლარის** დივიდენდი გაიცა.
- კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განისაზღვრა **10 646 112** ლარით.

19. დასკვნითი ნაწილი

- საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ, ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2023 წლის 25 სექტემბერს.

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები არ მომხდარა.

დავით კოკია
დირექტორი

ნათია კახიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „კადე ოილი“

21. მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კადე ოილი“ (შემდგომში „საზოგადოება“) რეგისტრირებულია 2016 წლის 13 ივნის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 404515217. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, დიდუბე ჩუღურეთის რაიონი რომის ქ №12. კომპანიის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე დავით კოკაია, 60001033943 (100%), ხოლო, საზოგადოების დირექტორია დავით კოკაია, 60001033943. კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. დოკუმენტის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება და მასში მოცემულია განმარტებები სამუშაო დროის, პირობების, მუშაკთა უფლებება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის მიხედვით გაწერილია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომლებიც თითოეული თანამშრომლის წარმოადგენს სამოქმედო გეგმას.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „კადე ოილი“ არის ქართული კომპანია. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, საბითუმო ვაჭრობა დიზელის სათბობით, ნავთობპროდუქტების წარმოება საბითუმო ვაჭრობის გზით.

შპს „კადე ოილი“ პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს ძირითადად თბილისში, თერჯოლაში, ზუგდიდში, თელავში, ოზურგეთში, ბათუმში, ქუთაისში, ახალციხეში, ახალქალაქში, გორში და დედოფლის წყაროში.

- მას არ გააჩნია სპეციალური სავაჭრო ობიექტი.
- საქონლის რეალიზაცია ხდება საბითუმო მიწოდებით.

ყოველი წლის დასაწყისში კომპანიის მენეჯმენტი, გაყიდვების, შესყიდვების და ფინანსურ სამსახურთან ერთად, გასული წლის შედეგებზე და მოლოდინებზე დაყრდნობით ადგენს გაყიდვების წლიურ გეგმას ჩაშლილს თვეების მიხედვით. აღნიშნული გეგმა კომპანიას ეხმარება დათვალოს კონკრეტულ თვეში დაახლოებით რა თანხის მობილიზებას შეძლებს. პარალელურად იგეგმება შესყიდვები და ხდება ბიუჯეტირება, რაც ამცირებს ფულადი სახსრების უკმარისობის რისკს. ყოველთვიურად, მიმართულებების მიხედვით ხდება შედეგების მონიტორინგიც და საჭიროების

შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა გეგმებსა და ბიუჯეტში. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორმა, როგორებიცაა ვალუტის კურსის ან/და ფასების მკვეთრი ცვლილება ქართულ ბაზარზე. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ინფორმირებულია კურსთა შორის სხვაობებთან მიმართებაში. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება ისახება პროდუქციის გასაყიდ ფასებზე, რაც, თავის მხრივ, შესაძლებლობას იძლევა მინიმუმამდე დავიდეს კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკები.

ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს უზრუნველყოს საზოგადოებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

➤ საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;

➤ არსებული კონკურენციის პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით და გაუმჯობესებული სერვისებით უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს.

სოციალური და დასაქმების საკითხები

საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი.

- პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში, ვაცნობთ საწარმოს შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას და უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება გამოსაცდელი ვადით.
- მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და, საბოლოო ჯამში, სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.
- მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.
- მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.
- საზოგადოება აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად, ახორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრენინგებით.

- კომპანიაში 2023 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა **5 ადამიანს**.
- საზოგადოების ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და მართულია. კომპანიის საბუღალტრო სამსახური დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და დიდი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით. ისინი რეგულარულად ესწრებიან ტრენინგებს, იმისათვის, რომ საქმის კურსში იყვნენ საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საგადასახადო და სხვა მარეგულირებელ სტრუქტურებთან პირნათელი ურთიერთობა, რასაც ის წარმატებით ახორციელებს.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 სექტემბერს.

შპს „კადე ოილი“- დირექტორი

დავით კოკაია

- კომპანიაში 2023 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 5 ადამიანს.
- საზოგადოების ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და მართულია. კომპანიის საბუღალტრო სამსახური დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და დიდი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით. ისინი რეგულარულად ესწრებიან ტრენინგებს, იმისათვის, რომ საქმის კურსში იყვნენ საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საგადასახადო და სხვა მარეგულირებელ სტრუქტურებთან პირნათელი ურთიერთობა, რასაც ის წარმატებით ახორციელებს.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 სექტემბერს.

შპს „კადე ოილი“- დირექტორი

დავით კოკაია